

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი



საქართველოს საერთო სარგებლობის საერთაშორისო და
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე არსებული
5 (ხუთი) ერთეული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე
გადასასვლელების მშენებლობის საპროექტო და საჭიროების შემთხვევაში
საავტორო ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის ელექტრონული
ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა“) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.
- 1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე პირი უცხოეთის მოქალაქეა ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია აუცილებლობას წარმოადგენს წარმოდგენილი იქნეს პირის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციაც დამოწმებული, ამისათვის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საელჩო, საკონსულო და/ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო).
- 1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა ან რწმუნებულება).
- 1.4 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- 1.5 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტი - აცხადებს ტენდერს საქართველოს საერთო სარგებლობის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე არსებული 5 (ხუთი) ერთეული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის საპროექტო და საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

შესყიდვის ობიექტი მოიცავს საპროექტო და საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო ზედამხედველობის მომსახურების გაწევას შემდეგ ობიექტებზე:

1. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-102) ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის ს/გზის კმ8-რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაცხე-კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
2. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-85) მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ36+700-ზე მდ. ოჩხომურზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
3. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-85) მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ25+650-ზე მდ. ოჩხომურზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
4. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-152) ზაჰესი-ჯვარის მონასტერის საავტომობილო გზის კმ1-ზე მდ. მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
5. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-39) უფლისციხის კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის მე-7 კმ-ზე მდ. მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:

392 000.00 (სამასოთხმოდათორმეტი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით

CPV კოდი:

71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება

დაფინანსების წყარო:

საქართველოს 2016 და 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:

ხელშეკრულების გაფორმებიდან - 215 კალენდარული დღე

სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშება:

- სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის გათვალისწინებით, (მ.შ. დღგ).
- პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს დამატებითი მომსახურებისათვის საჭირო ხარჯები, ძირითადი საპროექტო მომსახურების 3%-ის ოდენობით.
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში, რომელიც თან ერთვის სატენდერო დოკუმენტაციას. ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1 შესყიდვაში მონაწილე პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტები:

N	წარმოსადგენი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტების ჩამონათვალი
1	პრეტენდენტის შეთავაზება (რეკვიზიტები) დანართი N1
2	ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის 01.01.2011-დან 01.06.2016-მდე პერიოდში არსებული ანალოგიური ტიპის საპროექტო გამოცდილების შესახებ დანართი N2
3	ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ დანართი N3
4	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ თითოეულ სპეციალისტის საანკეტო მონაცემები დანართი N4
5	სპეციალისტთან გაფორმებული წინარე შეთანხმება დანართი N5
6	ფასების ცხრილი დანართი N6
7	ინფორმაცია დამატებითი მომსახურების შესახებ (სამუშაოები, რომლებიც არ შედის ძირითად საპროექტო მომსახურებაში) დანართი N7
8	ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ (არსებობის შემთხვევაში) დანართი N8
9	პროექტირების მეთოდოლოგია ტექნიკური დავალების შესაბამისად

3.2 შესყიდვაში მონაწილე პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

3.2.1 იურიდიული პირებისთვის:

- (1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- (2) ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ არსებობის შესახებ;
- (3) ხელისმომწერიისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;
- (4) არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, პრეტენდენტმა ან მისმა ფილიალმა დამატებით უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული ცნობა (ცნობები) რომ არ ხორციელდება არარეზიდენტი იურიდიული პირის (სათაო) რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, რომელიც (რომლებიც) დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

3.2.2 ფიზიკური პირებისთვის:

- (1) პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ან/და გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობის ასლები;

3.3 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში შემსყიდველი ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის (ე) ქვეპუნქტის საფუძველზე.

3.4 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (ე), (რ) ან (ტ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

3.5 ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 160 კალენდარული დღით, ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებიდან. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათიდან სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, სისტემა უზრუნველყოფს ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადას შესაბამისი ტენდერისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

4.1. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

4.1.1. პრეტენდენტის შეთავაზება (რეკვიზიტები) დანართი N1-ის მიხედვით;

4.1.2. ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, 01.01.2011-დან 01.06.2016-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა (ქვეკონტრაქტორთან ერთად) დანართი N2-ის მიხედვით უნდა წარმოადგინოს 01.01.2011-დან 01.06.2016-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური ხასიათის **(სატრანსპორტო ხიდების (არანაკლებ 25 მეტრი სიგრძის) მშენებლობის პროექტირება)**, ან მსგავსი¹ სირთულის და შინაარსის **არანაკლებ 10 პროექტი²**.
- მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს დანართი N2-ში მითითებული თითოეული ანალოგიური პოზიციის მიხედვით გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ამ მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები **(მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა)**.

შენიშვნა: ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ მომსახურებაზე.

4.1.3. ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ შემოთავაზებული სპეციალისტებისთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ დანართი N3-ის შესაბამისად.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად სასურველია ჰყავდეს ქვემოთ წარმოდგენილი ის ძირითადი სპეციალისტები, რომლებიც მოთხოვნილია ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით. ამასთან, მათ უნდა გააჩნდეთ ცხრილში მითითებული, შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება.

N	სპეციალისტი	მინიმალური პროფესიული გამოცდილება	მინიმალური რაოდენობა (კაცი)
1	ხიდების ინჟინერი	15 წელი	1
2	ხიდების ინჟინერი	10 წელი	1
3	საგზაო ინჟინერი	15 წელი	1
4	საგზაო ინჟინერი	10 წელი	1
5	გეოლოგი	10 წელი	1
6	ჰიდროლოგი	10 წელი	1
7	ხარჯთაღმრიცხველი	5 წელი	1
8	გეოდეზისტი	5 წელი	1
სულ:			8

- პრეტენდენტმა, მის მიერ შემოთავაზებულ თითოეულ სპეციალისტზე უნდა წარმოადგინოს საანკეტო მონაცემები **დანართი N4-ის** შესაბამისად, რომელიც მოიცავს სპეციალისტების ბიოგრაფიულ მონაცემებს, ინფორმაციას მათი განათლებისა და კვალიფიკაციის შესახებ, სატენდერო განცხადებით გათვალისწინებული ანალოგიური საპროექტო მომსახურების პროექტებში გამოცდილების ქონის შესახებ.
- პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ თითოეულ სპეციალისტზე, ატვირთული უნდა იყოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები და შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და სხვა დამატებითი ტიპის დოკუმენტაცია.
- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ძირითად სპეციალისტებთან გაფორმებული **წინარე შეთანხმება** (თითოეულ სპეციალისტთან ცალ-ცალკე) **დანართი N5-ის** შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში, სპეციალისტი იღებს ვალდებულებას, რომ

¹ საავტომობილო და სარკინიგზო გზებზე ჩასატარებელი სამუშაოების პროექტირება, რომელიც მოიცავს ახალი სახიდე გადასასვლელების მშენებლობას.

² დაპროექტებული ხიდების რაოდენობა.

კომპეტენციის შესაბამისად, პირადად განახორციელებს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

- ტენდერში მონაწილე კომპანიის მიერ შემოავაზებულ პერსონალს, წინამდებარე სატენდერო პირობებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი შემოთავაზებაში.

4.1.4. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტირების მეთოდოლოგია ტექნიკური დავალების შესაბამისად.

4.1.5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი N6-ის შესაბამისად.

4.1.6. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია დამატებითი მომსახურების (საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოები, რომლებიც არ შედის ძირითად საპროექტო მომსახურებაში) შესახებ, დანართი N7-ის შესაბამისად.

- პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს დამატებითი მომსახურებისათვის საჭირო ხარჯები, ძირითადი საპროექტო მომსახურების 3%-ის ოდენობით.

4.1.7. ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ (არსებობის შემთხვევაში) დანართი N8-ის შესაბამისად.

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ 01.01.2011-დან 01.06.2016-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების შესახებ **დანართი N2-ის** შესაბამისად. დანართში მითითებული თითოეული პოზიციის მიხედვით, ანალოგიური ან მსგავსი ტიპის ხელშეკრულებების და ამ მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (*მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა*).

შენიშვნა:

ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ მომსახურებაზე.

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის ძირითად სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, ცალკეული ცხრილის სახით, **4.1.3. პუნქტის მოთხოვნების** შესაბამისად.
- ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ამასთან, პრეტენდენტის მიერ სატენდერო პირობებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით, ქვეკონტრაქტორის წილი არ უნდა აღემატებოდეს **საერთო რაოდენობის 40%-ს**.
- ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული **მთლიანი მოცულობის 40%-ს**.
- ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირთა რეესტრში – „შავი სია“.

4.1.8. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში, და ის იყენებს სათაო კომპანიის გამოცდილებას, მან უნდა წარმოადგინოს, როგორც ადგილობრივი, ასევე სათაო ოფისის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული 4.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია და შესაბამისად შევსებული დანართის სახით.

- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, ძირითადი სპეციალისტები ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში, პრეტენდენტს არა აქვს უფლება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით გამოიყენოს ქვეკონტრაქტორი კომპანია.

4.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

4.2.1. კონსკურსში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული, **დანართი N9-ის მიხედვით.**

- 4.2.2. იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტად დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.
- 4.2.3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

4.3. დამატებითი ინფორმაცია:

- 4.3.1. სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება. ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.
- 4.3.2. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- 4.3.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
- 4.3.4. ტენდერში მონაწილე კომპანიის მიერ შემოავაზებულ პერსონალს, წინამდებარე სატენდერო პირობებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი შემოთავაზებაში.
- 4.3.5. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვა/პასუხის მოდულის მეშვეობით ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ. N12, მე-4 სართული. საკონტაქტო პირები:

შალვა ჯულაყიძე

ლევან როსტომაშვილი

ტელ: +995 32 37 05 08 (284)

ტელ: +995 32 37 05 08 (292)

5. ტექნიკური პირობები

5.1. გასაწევი მომსახურება

გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი:

საქართველოს საერთო სარგებლობის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე არსებული სახიდე გადასასვლელების ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელების მშენებლობის საპროექტო მომსახურება და საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო ზედამხედველობის მომსახურება, შემდეგ ობიექტებზე:

1. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-102) ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის ს/გზის კმ8-რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაციხე-კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
2. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-85) მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ36+700-ზე მდ. ოჩხომურზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
3. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-85) მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ25+650-ზე მდ. ოჩხომურზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
4. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-152) ზაჰესი-ჯვარის მონასტერის საავტომობილო გზის კმ1-ზე მდ. მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
5. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-39) უფლისციხის კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის მე-7 კმ-ზე მდ. მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.

მომსახურების ძირითადი სახეობები:

1. სავალი საკვლევადიებო და კამერალური სამუშაოები;
2. საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია);
3. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება და ობიექტების სავარაუდო ღირებულებების დადგენა;
4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციების დამუშავება;
5. განსახლების სამოქმედო გეგმების დამუშავება.

საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება:

1. საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების დამატებითი ეგზემპლარების გამრავლება;
2. ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
3. დამატებითი ეგზემპლარების ტომებად, წიგნებად აკინძვა;
4. პროექტის კორექტირება;
5. თარგმანი ქართულიდან ინგლისურად და პირიქით;
6. ცალკეულ ობიექტებზე საავტომობილო ზედამხედველობა;
7. სამშენებლო მონაკვეთის განთავსების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. N242 ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების შესაბამისად;
8. საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა.
9. საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (საქართველოს მთავრობის N42 დადგენილების და საქართველოს კანონი წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ შესაბამისად);
10. წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის და მათი მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი (საკომპენსაციო გეგმა).

5.2. მომსახურების გაწევის ვადები:

5.2.1. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველი კონკრეტული ობიექტისათვის შემდგენიარად:

1. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-102) ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის ს/გზის კმ8-რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაციხე-კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
 - ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების წარდგენის ვადა - 80 კალენდარული დღე
 - სრული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა 130 კალენდარული დღე.

2. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-85) მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ36+700-ზე მდ. ოჩხომურზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
 - ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების წარდგენის ვადა - 80 კალენდარული დღე
 - სრული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა 130 კალენდარული დღე.
3. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-85) მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ25+650-ზე მდ. ოჩხომურზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
 - ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების წარდგენის ვადა - 80 კალენდარული დღე
 - სრული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა 130 კალენდარული დღე.
4. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-152) ზაჰესი-ჯვარის მონასტერის საავტომობილო გზის კმ1-ზე მდ. მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
 - ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების წარდგენის ვადა - 110 კალენდარული დღე
 - სრული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა 155 კალენდარული დღე.
5. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-39) უფლისციხის კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის მე-7 კმ-ზე მდ. მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა.
 - ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების წარდგენის ვადა - 110 კალენდარული დღე
 - სრული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა 155 კალენდარული დღე.

5.2.2. დამატებითი ინფორმაცია:

- o საჭიროების შემთხვევაში თითოეული პროექტის შესრულების ვადების კორექტირება დაიშვება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;
- o იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ ობიექტებზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დასრულების ვადები სცილდება ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებს, მიმწოდებელი აგრძელებს გასაწევ მომსახურებას ასეთ ობიექტზე სამუშაოების მთლიანად დასრულებამდე (საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობის ჩათვლით), მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე შესაბამისი დანართის გაფორმებით;
- o საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შესყიდვის საწყის გეგმაში. წლიური დაფინანსების მოცულობის შემცირების ან სხვა მიზეზების გამო შეამციროს მომსახურების მოცულობა და მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია ტენდერით განსაზღვრული მოცულობის შეუსრულებლობის გამო;
- o ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პირობებში;
- o ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

5.3. ტექნიკური დავალება

ტექნიკური დოკუმენტაციის ნახაზები, ტექსტობრივი ნაწილი და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ტექნიკურ ნაწილში იხილება ზოგადი პირობები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მიმწოდებელმა, რომ დაამუშაოს მაღალხარისხიანი პროექტები, მათ ხელთ არსებული და შემსყიდველისათვის მისაღები ტექნოლოგიების გამოყენებით.

5.3.1. დავალების შემადგენლობა

ობიექტების პროექტირება მოიცავს სავიწრო საკვლევადიებო (ტოპოგოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა) სამუშაოებს, სავიწრო მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია:

- o ყოველი კონკრეტული „ხიდების მშენებლობა“-ის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი“-ს შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის N172 დადგენილებით), ასევე ხელშეკრულების პირობებით;
- o მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;

- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი XLS ფაილში);
- აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები;
- პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნას საავტომობილო გზების დარგში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;
- კალენდარული გრაფიკი, ამინდის გათვალისწინებით რეგიონების მიხედვით.
- სახიდე გადასასვლელების დაპროექტება უნდა მოხდეს შემდეგ A-11; HK-80 საანგარიშო დატვირთვებზე.

5.3.2. სამუშაო ადგილის მომზადება

მიმწოდებელი პასუხისმგებელია მისი სამუშაოებისათვის საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტისა და ყველა სხვა სამუშაოსთვის საჭირო ხელსაწყოთა და ტექნიკის უზრუნველყოფაზე.

5.3.3. მოძრაობის ორგანიზაცია

შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოებზე მოძრაობის ორგანიზაციის პროექტები უნდა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციის გათვალისწინებით.

სახედე გადასასვლელის მშენებლობის პროცესში მოძრაობის შეუფერხებელი გატარების უზრუნველყოფისათვის საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული იქნას ასაქცევი დროებითი გზის მოწყობა.

5.3.4. დავალების შესრულების წესი

დავალების შესრულების წესი განისაზღვრება მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციებით, ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობებით, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად გაცემული ტექნიკური დავალებით.

5.3.5. ტექნიკური რეგლამენტები და სტანდარტები

რეკომენდირებულია და კონსულტანტი ვალდებულია „ხიდების მშენებლობა“-ის პროექტების განხორციელებისას იხელმძღვანელოს და გამოიყენოს:

- საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები და სტანდარტები და მათ საფუძველზე დამუშავებული ტექნიკური რეკომენდაციები, სახელმძღვანელოები და მითითებები.

შენიშვნა:

საპროექტო ნორმებსა და რეგლამენტებში რაიმე განსხვავებული დაშვებების აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციფიკური ნორმის დაშვებისა, ან მისი შეზღუდვის საკითხი წინასწარ უნდა იქნას დამკვეთთან შეთანხმებული.

5.3.6. კუთვნილება

ამ დავალებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს, წარმოადგენს მის საკუთრებას და მიმწოდებელი ვალდებულია პირველი მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მას აღნიშნული მასალები.

მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.

ხელშეკრულების პირობებით მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის სრული მოცულობის ელექტრონული (pdf, dwg და სხვა) ვერსია.

5.3.7. საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა

საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა:

- საპროექტო დოკუმენტაცია, მ.შ. განმარტებითი ბარათი, საინჟინრო-ჰიდროლოგიური ანგარიში, გრაფიკული ნაწილი, მშენებლობის ორგანიზაცია და სხვა - 6 ეგზემპლიარი (მათ შორის 3 ეგზემპლიარი ზონარგაყრილი);
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - 2 ეგზემპლიარი;
- საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში - 2 ეგზემპლიარი;
- ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობისათვის საჭირო დოკუმენტაცია - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

- საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებიდან ფართობების ამორიცხვისათვის საჭირო დოკუმენტაცია - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო მოქმედების პაკეტი - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ელექტრო (pdf და dwg ფაილები) ვერსია - 2 ეგზემპლარი;
- სატენდერო დოკუმენტაციის სრული ელექტროვერსია (pdf და dwg ფაილები) - 2 ეგზემპლარი.

5.3.8. საავტორო ზედამხედველობის განხორციელების წესი

ცალკეული ობიექტების მიხედვით, „ხიდების მშენებლობა“-ის სამუშაოებს, საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი გაუწევს საავტორო ზედამხედველობას, ამ სამუშაოების წარმოების მთელ პერიოდში ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ჩათვლით, საკუთარი ხარჯებით, ზედამხედველობისათვის განკუთვნილი გრაფიკის შედგენით და საავტორო ზედამხედველობის ჟურნალის წარმოებით.

5.4. „ხიდების მშენებლობა“-ის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების სავარაუდო ტექნიკური სპეციფიკაციები

5.4.1. სახიდე გადასასვლელების საპროექტო სამუშაოების სტადიები

პროექტირება უნდა ჩატარდეს ორ სტადიად:

1. ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება (ტეგ);
2. სამუშაო დოკუმენტაციის (სდ) მომზადება.

ტეგ სტადიაზე უნდა შესრულდეს საინჟინრო-გეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიური და საინჟინრო-ჰიდროლოგიური კვლევა-ძიება იმ მოცულობით, რომ საკმარისი იყოს პრინციპული და ტექნიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, სახიდე გადასასვლელის სამუშაო ნახაზების შესადგენად და ობიექტების სავარაუდო ღირებულების განსასაზღვრავად.

სახიდე გადასასვლელის ტრასის ადგილმდებარეობის დანიშვნა უნდა მოხდეს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- მდინარის კალაპოტის მონაკვეთი სახიდე გადასასვლელის ადგილზე შეძლებისდაგვარად უნდა იყოს სწორხაზოვანი, ან თანაბრად უზვევდეს (გეგმაში ხიდი არ უნდა იყოს სწორისა და მრუდის შეერთების ადგილზე); გადასასვლელის უბანზე მდინარის დინების მიმართულება კალაპოტსა და რიყეზე უნდა იყოს პარალელური და მცირედ იცვლებოდეს წყლის დონის ცვლილებისას;
- სახიდე გადასასვლელი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა განთავსდეს წყლის საანგარიშო ხარჯის პირობებში მდინარის დინების მართობულად;
- გადასასვლელი (შესაძლებლობის ფარგლებში) უნდა განთავსდეს იქ სადაც მდინარის რიყეები ვიწროა, ნაპირები განლაგებულია მაღალ ნიშნულზე, ხეობა არ არის დაჭაობებული და არ არის ტბები;

ზემოთაღნიშნული და ტექნიკური რეგულაციებით და სტანდარტებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების, გარემოსდაცვითი და არსებობის შემთხვევაში განსახლების საკითხების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს სახიდე გადასასვლელის არა ნაკლებ სამი ვარიანტისა, რომელთაგან ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებების საფუძველზე შეირჩევა ერთი საუკეთესო, დეტალური პროექტის შესადგენად;

კონსულტანტის მიერ მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებების დამკვეთთან განხილვისა და დასაპროექტებელი ტრასებისა და ხიდების სქემების შეთანხმების შემდგომ, უნდა შესრულდეს შერჩეული სახიდე გადასასვლელის დაპროექტებისათვის საჭირო საველე, ლაბორატორიული და კამერალური სამუშაოები (დეტალური პროექტირებისათვის საკმარისი მოცულობით, რომელიც განისაზღვრება საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგულაციებითა და სტანდარტებით) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად.

სდ სტადია (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო) უნდა მოიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს;
2. საინჟინრო-გეოლოგიურ და ჰიდროლოგიურ დასკვნებს;
3. სამშენებლო სამუშაოების მოცულობებს;
4. სახიდე გადასასვლელის ყველა შემადგენელი ნაწილის (ხიდი, სარეგულაციო ნაგებობები და მისასვლელელები) კონსტრუქციული ელემენტებისა და კვანძების ზოგად და დეტალურ ნახაზებს;

5. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს;
6. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;
7. გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
8. განსახლების სამოქმედო გეგმას;

შენიშვნა:

პროექტი ასევე უნდა ითვალისწინებდეს დასრულებული ხიდის ექსპლოატაციაში გადაცემამდე სტატიკურ და დინამიურ დატვირთვაზე გამოცდას, რასაც ითვალისწინებს ტექნიკური რეგულაციები.

5.4.2. ველზე (ადგილზე) ჩასატარებელი საორიენტაციო სამუშაოები

„ხიდების მშენებლობა“-სათვის საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ განისაზღვრება საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები, კონკრეტულ ობიექტზე, ამ თავში მოცემული სამუშაოების სახეობებიდან.

საველე საკვლევადიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად მიღებული უნდა იქნას სახიდე გადასასვლელის რაიონის ტოპოგრაფიული, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, გადასაკვეთი მდინარის (ხევის) ჰიდროგეოლოგიური რეჟიმისა და კალაპოტური პროცესების (მორფომეტრიული) მონაცემები, ასევე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების არსებობისა და სხვა აუცილებელი ინფორმაციები, რომლებიც საჭიროა მშენებლობის ორგანიზაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად.

შენიშვნა:

აქ მოცემულია იმ სამუშაოთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ზოგადად საკვლევადიებო სამუშაოების ჩასატარებლად. ამიტომ, ასევე გამოყენებული უნდა იქნას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, სადაც სრულად არის მოცემული კვლევების ჩატარების მეთოდები და საშუალებები.

5.4.3. ტოპოგეოდეზიური სამუშაოები

1. ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების წარმოების დროს უნდა იყოს დაცული შემდეგი პირობები და შესრულდეს შემდეგი სახის საველე სამუშაოები:
 - o ტოპოგრაფიული გადაღების ფართობი უნდა იყოს საკმარისი სახიდე გადასასვლელისა და მშენებლობისათვის საჭირო დროებითი ნაგებობების პროექტირებისათვის;
 - o ტოპოგრაფიული გადაღების უზნების ფართობები და საზღვრები უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად ობიექტის მიხედვით;
 - o გადაღების უზნის მინიმალური ზომები უნდა იქნას მიღებული:
 - ✓ ხიდის განივად - წყლის საანგარიშო ხარჯის შემთხვევაში გაშლილი მდინარის ფარგლებში არსებულ სიგანეს დამატებული ის მანძილი, რომელიც შეესაბამება წყლის ნიშნულს სიმაღლეში 1-2 მეტრის წამატების შემთხვევაში მიღებული სიგრძე;
 - ✓ მდინარის დინების ზევით და ქვევით ხიდის განლაგების, ნაკადის მიმმართველი ჯებირებისა და ხიდქვეშა კალაპოტის გაჭრის რაიონში - ხიდის ღერძიდან 1,5 ხვრეტის მანძილზე;
 - o ტოპოგადაღება ასევე ითვალისწინებს მდინარის ხეობის გადაღებას იმ უზნებზე, სადაც იქნება დაპროექტებული მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება, განივი სარეგულაციო ნაგებობების მოწყობა, ნაპირების გამაგრება და სხვა;
 - o ხიდთან მისასვლელის უზნებზე ტოპოგადაღების ზოლი უნდა იყოს საკმარისი ყველა ნაგებობის დასაპროექტებლად, რომლებიც დაკავშირებულია როგორც სახიდე გადასასვლელის მშენებლობასთან, ისე მის ექსპლუატაციასთან, მაგრამ არნაკლებ 100 მეტრისა ტრასის ორივე მხარეზე;
 - o რელიეფის ტოპოგეოდეზიური გადაღებები დამუშავებული უნდა იქნას აბსოლუტურ **UTM** კოორდინატთა სისტემაში, რომელიც საჭირო იქნება დაპროექტებისათვის. დამეწყრილი ადგილების, სახიდე გადასასვლელის, მცირე ხელოვნური ნაგებობების (მილები, საყრდენი კედლები და სხვა) მოწყობის ადგილები უნდა შესრულდეს ისეთი მოცულობით, რაც საკმარისი იქნება შემდგომი დაპროექტებისათვის;
 - o სახიდე გადასასვლელის ტრასის პიკეტაჟი და ნიველობა;
 - o განივი პროფილების გადაღება მრუდეებსა და მთაგორიან ადგილებში 20 მეტრში, ხოლო სწორი რელიეფის პირობებში ყოველ პიკეტაჟე და დამახასიათებელ წერტილებში;
 - o მუდმივი რეპერების მოწყობა სახიდე გადასასვლელის ტრასთან მისაბმელად მდინარის ორივე მხარეს, დიდ ჭრილებთან კი ჭრილის დასაწყისთან ორივე მხარეს;
 - o საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განისაზღვროს არსებული კომუნიკაციების (საჰაერო ხაზების, ელექტროგადაცემის ხაზების, კაბელების, წყალსადენის, საკანალიზაციო ქსელის და სხვა) საპროექტო ტრასასთან გადაკვეთა და შესაბამისი ადგილები და შეთანხმდეს გადაკვეთის/გადატანის პირობები;

- o სახიდე გადასასვლელების საინჟინრო-ტოპოგრაფიული გეგმების სიზუსტე, შინაარსი და გაფორმება უნდა პასუხობდეს სნდაწ 1.02.07-87 "საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის" ან საქართველოში მოქმედი სხვა ტექნიკური რეგულაციების მოთხოვნებს.

2. კამერალური სამუშაოები უნდა შესრულდეს შემდეგი პირობების დაცვით:

- o სახიდე გადასასვლელის საინჟინრო-ტოპოგრაფიული გეგმა უნდა შედგეს გადასაღები ობიექტის ფართობის მიხედვით მასშტაბებში 1:500 (გადასაღები ფართობის 10 ჰა-მდე შემთხვევაში), 1:1000 (გადასაღები ფართობის 50 ჰა-მდე შემთხვევაში) და 1:2000 (გადასაღები ფართობის 50 ჰა მეტის შემთხვევაში). რელიეფის სიმაღლეზე კვეთები მიღებული უნდა იქნას რელიეფისა და სიტუაციური სირთულიდან გამომდინარე 0,5 და 1,0 მეტრი;
- o გზის გრძივი პროფილი გამოიხაზოს გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000 - 1 : 200, ხოლო რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000 - 1 : 100;
- o განივი პროფილები გამოიხაზოს რთული რელიეფის პირობებში მასშტაბით 1 : 100, ხოლო სწორ ადგილებში მასშტაბში 1 : 200;
- o ყველა ნახაზზე უნდა იყოს აღნიშნული პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების გვარები და მათი ხელმოწერები.

5.4.4. არსებული კომუნიკაციების კვლევის სამუშაოები

სახიდე გადასასვლელის საპროექტო ღერძის მიმართულეზაზე სხვადასხვა კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში საჭიროა შემდეგი სახის სამუშაოებისა და შეთანხმებების ჩატარება:

- o გაზომილი უნდა იქნას არსებული წყალსადენების, საკანალიზაციო მილებისა და სხვა კომუნიკაციების მდგომარეობა საპროექტო ტრასასთან მიმართ და მათი დამაგრების კონსტრუქციები ხიდეზუ;
- o საჭიროების შემთხვევაში შეიარჩეს სავარაუდო ტრასა კომუნიკაციების გადასატანად;
- o მიზმული იქნას საპროექტო ტრასასთან არსებული საჰაერო კავშირგაბმულობის, მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები, მიწისქვეშა ელექტრო და კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები;
- o საპროექტო გადაწყვეტილებები შეთანხმდეს კომუნიკაციების სათანადო მფლობელთან.

შენიშვნა:

შეთანხმების დოკუმენტები უნდა იყოს გაფორმებული ტექსტური და გრაფიკული სახით (აქტები, ოქმები, ცნობები, წერილები, დასკვნები, გადაწყვეტილებები, წარწერები გეგმებზე, სქემებზე და ა.შ.) ამ დოკუმენტებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული შეთანხმების საგნები, შემთანხმებელი ორგანიზაციის მოთხოვნები, ნაგებობის განლაგება, ტექნიკური პირობები ცვლილებაზე და ა.შ., ასევე შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, შეთანხმების თარიღი, შემთანხმებელი პირის თანამდებობა და გვარი, ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული.

5.4.5. ჰიდროლოგიური, ჰიდრომეტრიული და მორფომეტრიული კვლევების საორიენტაციო სამუშაოები

პროექტის შესადგენად საინჟინრო-ჰიდროლოგიური სამუშაოები მოიცავს სახიდე გადასასვლელის რაიონის ჰიდროლოგიური და მდინარის ჰიდრომეტრიული დამორფომეტრიული პირობების დეტალურ შესწავლას იმ მოცულობით, რაც საკმარისი იქნება ხიდის, მისასვლელების მიწის ვაკისის, სარეგულაციო ნაგებობებისა და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტირებისათვის. ამისათვის საჭიროა:

- o დათვლილი იქნას ხარჯები შესაბამისი მეთოდით და დაზუსტდეს წყლის მაღალი ჰორიზონტი ხიდებისათვის;
- o ხიდის ოპტიმალური ხვრეტის ანგარიში უნდა ჩატარდეს საძირკვლების ჩაღრმავების სიღრმის გაანგარიშებასთან კომპლექსურად, იმ უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სახიდე გადასასვლელის მშენებლობის შემდეგ;
- o ბურჯების საძირკვლების ჩაღრმავება განისაზღვროს საერთო და ადგილობრივი წარეცხვების ჯამით ბუნებრივი სიღრმითი დეფორმაციების გათვალისწინებით;
- o ჰიდროლოგიური ანგარიშის საფუძველზე დაინიშნოს სახიდე გადასასვლელებზე სარეგულაციო და დამცავი ნაგებობების მდებარეობა და მათი კონსტრუქციები;
- o ხიდის ხვრეტის დანიშვნისას, ბურჯების საძირკვლების ჩაღრმავების განსაზღვრისას, სარეგულაციო ნაგებობების დაპროექტების პროცესში აუცილებელია მდინარის კალაპოტის შესაძლებელი ბუნებრივი დეფორმაციების გათვალისწინება, რომლებიც შეიძლება მდინარეებზე არსებულ პირობებში და რომლებიც ხშირად აქტიურდება გადასასვლელის მშენებლობის შემდეგ.
- o სახიდე გადასასვლელის მუშაობაზე ბუნებრივი დეფორმაციებისგან გამოწვეული ნეგატიური მოვლენებისგან თავის არიდება შესაძლებელია როგორც გადასასვლელის გენერალური ზომების დანიშვნისას, ასევე მდინარის ნაკადის შესაბამისი რეგულაციით (კალაპოტის გასწორება, ნაპირების გამაგრება, გრძივი და განივი სარეგულაციო და დამცავი ნაგებობების მოწყობა და სხვა);

ზემოთაღნიშნული კვლევების ჩატარება საჭიროა არსებული ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

5.4.6. საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის საორიენტაციო სამუშაოები

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შემადგენლობა და მოცულობები დამოკიდებულია საკვლევაძიებო რაიონის პროექტირების სტადიაზე, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულეზე, ხიდის კონსტრუქციასა და მის ზომებზე, მისასვლელის კონსტრუქციულ ხასიათზე, სარეგულაციო და დამცველი ნაგებობების განლაგებაზე, ასევე დროებით ნაგებობებზე სახიდე გადასასვლელის რაიონში.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია განაპირა და შუალედი ბურჯების საფუძვლებისა და საძირკვლების ტიპების შესარჩევად, მათი ჩაღრმავებისა და ზომების განსასაზღვრავად მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესაძლო ცვლილებების გათვალისწინებით. განაპირა და შუალედური ბურჯების საძირკვლების სამუშაო ნახაზებზე დატანილი უნდა იქნას საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

საველე საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების წარმოებისას სახიდე გადასასვლელის ყველა ელემენტის პროექტირების დროს უნდა გაყვანილი იქნას დაზვერვითი საინჟინრო-გეოლოგიური ჭაბურღილები, გაითხაროს შურფები. ასევე შესაძლებელია გეოფიზიკური და საველე საგამოცდო სამუშაოების ჩატარება.

დაზვერვითი გამონამუშევრები (შურფები, ჭაბურღილები) და ზონდირების წერტილები უნდა განთავსდეს შეძლებისდაგვარად სახიდე გადასასვლელის ღერძზე.

ყოველ კონკურენტუნარიან ვარიანტზე უნდა იყოს არანაკლებ ერთი გამონამუშევრისა მდინარის თითოეულ ნაპირზე და მის კალაპოტში (დიდი მდინარის შემთხვევაში).

ჭაბურღილების სიღრმე განისაზღვრება საძირკვლების გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემების მიღების პირობიდან მათი დაყრდნობის ზონიდან 5-10 მეტრით დაბალ სიღრმეზე, რაც ამას გარდა უზრუნველყოფს ქვესაგებ გრუნტებზე საძირკვლების მდგრადობაზე გაანგარიშების შესაძლებლობას.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მონაცემები საძირკვლების საფუძვლებში კუმშვადი გრუნტების სისქის შესახებ, ჭაბურღილების სიღრმის განსაზღვრა დასაშვებია ცხრილით N37 სნდაწ 1.02.07-87 ("საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის") საძირკვლების დაყრდნობის ზევით ზონა საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას გამოკვლეული (სტატიკური ზონდირებით) იმ მიზნით, რომ მიღებული იქნას მონაცემები გვერდითი ხახუნისა და გრუნტის შუბლური წინააღმდეგობის განსაზღვისათვის, გრუნტებში საძირკვლების უსაფრთხო ჩამაგრების სიდიდის გაანგარიშებისათვის, ასევე ალუვიური გრუნტების ადგილობრივი და საერთო გარეცხვების გამოსათვლელად.

ჭაბურღილის 30-40 მეტრზე მეტ სიღრმეზე გაყვანის აუცილებლობა საჭიროა დასაბუთდეს საპროექტო და ხიდის სამშენებლო სამუშაოების საინჟინრო- გეოლოგიური პირობების სირთულით.

საძიებო ჭაბურღილების სიღრმე ხიდის მისასვლელზე, სარეგულაციო და დამცავ ნაგებობებზე მარტივ პირობებში განისაზღვრება ასაშენებელი ობიექტების მდგრადობისათვის საჭირო ღონისძიებების დანიშვნის აუცილებლობის პირობებიდან, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს მათ ერთნახევარ სამშენებლო სიმაღლეს. ჭაბურღილები ინიშნება ნაგებობის ღერძზე მანძილით არაუმეტეს 100-200 მეტრისა.

გარდა ზემოთმოყვანილი მოთხოვნებისა სახიდე გადასასვლელის სრული საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა, უნდა განხორციელდეს სამშენებლო რეგულაციებისა და სტანდარტების დაცვით, სადაც განსაზღვრულია იმ სამუშაოთა სახეობები და მოცულობები, რომლებიც უნდა ჩატარდეს ტეგ-ისა და სდ-ს სტადიებზე მიმწოდებლის მიერ.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევაძიებით მიღებული მასალების საფუძველზე უნდა შედგეს ანგარიშები სახიდე გადასასვლელის ყველა ნაგებობის მდგრადობის უზრუნველყოფის დასკვნებითა და რეკომენდაციებით, მიწის ვაკისის მოსაწყობი გრუნტებისა და ადგილობრივი სამშენებლო მასალების მარაგებისა და მათი ხარისხების მონაცემებით.

5.4.7. განსახლება

1. კონსულტანტი, ვალდებულია კვლევის პირველ ეტაპზე (ტეგ) განიხილოს, შეისწავლოს, ადგილზე განსაზღვროს და შეიმუშაოს საპროექტო გზის მშენებლობის მიმართულების ყველა შესაძლო ვერსია, სადაც ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს:

- დასაკავებელი მიწების (გზის განთავსების ზოლში) ოდენობა, მათი სახეობა, დანიშნულება და სხვა მახასიათებლები (შენობა-ნაგებობები, ხეხილი, ბიზნეს-საქმიანობა და ა.შ.)
- საპროექტო გზის განთავსების ზოლში მოხვედრილი მოსახლეობისათვის, მათი ქონების გამოსყიდვისა და განსახლების ქმედებებისათვის საჭირო ზომები, ზოგადი შეფასებები და ქონების დაახლოებითი ღირებულებები.
- შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების გათვალისწინებით სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტების შედარება და უპირატესი ვარიანტის გამოვლენა.

2. კონსულტანტი ვალდებულია დეტალური პროექტირებისას (სამუშაო დოკუმენტაცია), კვლევის პირველ ეტაპზე (ტეგ) შერჩეულ ვარიანტზე გამოვლენილი პროექტის ზემოქმედების შემთხვევაში, მოამზადოს განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- 1) პროექტის აღწერა;
- 2) პროექტის პოტენციური ზემოქმედება;
- 3) პროექტის მიზნები და ამოცანები;
- 4) საკანონმდებლო საფუძვლები;
- 5) ინსტიტუციური სისტემა;
- 6) გსგ-ს განხორციელება;
- 7) შეფასების მეთოდოლოგია. ზარალისა და კომპენსაციის შეფასება;
- 8) საჩივრების პროცედურები;
- 9) ინსტიტუციური (ორგანიზაციული) პასუხისმგებლობა;
- 10) განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების გრაფიკი;
- 11) განსახლების ხარჯები და ბიუჯეტი;

5.4.8. დანართები:

გამოკვლევა გამოცდის მასალები

შენიშვნა:

„ხიდების მშენებლობა“-ის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციების შედგენისას მიმწოდებელი იხელმძღვანელებს ზემოთ აღნიშნული განზოგადებული ტექნიკური დავალებით ამასთან, ყოველი კონკრეტული ობიექტის პროექტზე, ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები, მიმწოდებლის მიერ, თანხმდება შემსყიდველთან.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ტენდერი SPA _____
(პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი

„ _____ “ _____ 2016 წელი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნურო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მათა ქალიაშვილის სახით, შემდგომში - შემსყიდველი, ერთის მხრივ და _____, წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, შემდგომში - მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების მე-15 მუხლის და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტიმით ჩატარებული ტენდერის SPA _____ საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ _____ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციების შედგენაზე და საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების გაწევა (71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება) - შემდგომში მომსახურება.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

- 2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს - _____ (_____ ლარი და _____ თეთრი) ლარს.
- 2.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
- 2.3 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო და სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციას.
- 2.4 შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილი დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციაზე წარმოადგინოს საექსპერტო დასკვნა (კონტრუქციული და გეოლოგიური ექსპერტიზა) - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული. დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდგომ დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი (წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა), რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 25 დღის განმავლობაში.
- 2.5 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით) ღირებულება.
- 2.6 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე.
- 2.7 საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე, საკუთარი ხარჯებით, წინამდებარე ხელშეკრულების 2.16 და 2.17 პუნქტებით განსაზღვრული ვადის ფაგლებში, საპროექტო მომსახურების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად.
- 2.8 აუცილებლობის (საჭიროების) შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, თუ იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ არის რეგისტრირებული საგადასახდო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი

ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება მის მიმართ ზემოხსენებული ვალდებულებების რეგისტრაციის არ არსებობა.

- 2.9 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.
- 2.10 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.
- 2.11 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **არაუმეტეს 20%-ის ოდენობით**. მრავალწლიანი ტენდერის შემთხვევაში საავანსო თანხა გაიცემა იმავე პროცენტული ოდენობით, მოთხოვნის მომენტისათვის არსებული წლის შესაბამისი ღირებულებიდან.
- 2.12 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A * (X\% - Y\%)}{70 - 20}$$

სადაც:
Z - გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;
A - წარმოდგენს გადარიცხული ავანსის თანხას;
X - წარმოდგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.
Y - არის (X) წინა პერიოდისათვის.

- 2.13 შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 2.10 პუნქტის დარღვევისა ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.
- 2.14 ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.
- 2.15 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების (პროცენტების) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელი მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.
- 2.16 წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ ყოველ კონკრეტულ ობიექტზე გაწეული **საპროექტო მომსახურების ღირებულების 10%**, რომელიც მიმწოდებელს დაუბრუნდება ყოველი კონკრეტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მიღება-ჩაბარებიდან **2 (ორი) წლის შემდგომ (საგარანტიო პერიოდი)**, გარდა იმ შემთხვევისა თუ ამ ვადაში შემსყიდველი განახორციელებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დაწყებას.
- 2.17 საგარანტიო პერიოდში (2 (ორი) წლის განმავლობაში) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე სამუშაოების დაწყების შემთხვევაში, ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნება მოხდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ყოველ კონკრეტულ ობიექტზე გაწეული საპროექტო მომსახურების დაკავებული ღირებულების პროპორციულად.
- 2.18 თუ საგარანტიო პერიოდში სამუშაოების განხორციელების პროცესში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში აღმოჩნდება რაიმე სახის დეფექტი ან ხარვეზი მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ისინი. თუ მიმწოდებელი არ აღმოფხვრის აღნიშნულ ხარვეზს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს არ აუნაზღაუროს კონკრეტულ ობიექტზე გაწეული საპროექტო მომსახურების ფარგლებში დაკავებული თანხა გამოვლენილი ხარვეზის ღირებულების პროპორციულად. ამასთან, თუ აღმოჩნდება რომ ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხა არაა საკმარისი, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
- 2.19 თუ მიმწოდებლის ბრალეულობით, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტის ან ხარვეზის არსებობამ გადააჭარბა

სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაში განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულებას (დადგენილი შემსყიდველის შესაბამისი სამსახურის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ) მიმწოდებელს არ აუნაზღაურდება ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების ფარგლებში დაკავებული თანხა (10%-ის ოდენობით) სრულად.

3. მომსახურების შესაბამისობა

- 3.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 3.2 პუნქტში აღნიშნული პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
- 3.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 220 კალენდარული დღის განმავლობაში**, წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 მიმწოდებლისაგან წარმოდგენილი დასრულებული დოკუმენტაციის (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია) ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების (მაგრამ მიმწოდებლისაგან დასრულებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 28 დღისა) შემდეგ შემსყიდველი მიიღებს წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას, რაზედაც დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას.
- 4.2 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
- 4.3 საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე მიმდინარე სამუშაოების განხორციელების პერიოდში, შემოწმების ან/და ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ურთიერთშეთანხმებულ გონივრულ ვადებში.
- 4.4 იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ან მიმდინარე მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე.
- 4.5 გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი საავტომობილო გზის მონაკვეთი. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.
- 4.6 შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ობიექტის ფარგლებში შეუკვეთოს მიმწოდებელს ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული დამატებითი მომსახურების გაწევა.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
 - 5.1.1 მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;
 - 5.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან -----, მათ შორის:
 - ა) _____
 - ბ) _____
 - გ) _____
 - დ) _____
 - 5.1.3 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების თანახმად;
 - 5.1.4 საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ხელშეკრულების ღირებულებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურება დანართი N7-ის შესაბამისად.

- 5.1.5 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;
- 5.1.6 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყონებლივ აღმოფხვრა;
- 5.1.7 საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, გაუწიოს კონსულტაცია სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან/და საპროექტო ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.
- 5.1.8 ანგარიშსწორებისას საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური ღირებულება;
- 5.1.9 შემსყიდველს დაუყონებლივ აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.
- 5.1.10 იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ითვალისწინებს ქონების შეფასებას, შემფასებელი (სერთიფიცირებული) ექსპერტის კანდიდატურა შეათანხმოს შემსყიდველთან და ქონების შეფასების დოკუმენტი წარმოადგინოს მისი და შემფასებელი ექსპერტის ხელმოწერით.
- 5.1.11 საპროექტო დოკუმენტაცია წარმოადგინოს მისი და ძირითადი სპეციალისტის (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ტექნიკური გადაწყვეტილების მიმღები) მიერ ხელმოწერილი.
- 5.1.12 საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, გაუწიოს კონსულტაცია სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან/და საპროექტო ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.
- 5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
 - 5.2.1 შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.
 - 5.2.2 მიმწოდებლის მიერ თითოეული დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში, გაიტანოს ტექნიკურ საბჭოზე.
 - 5.2.3 ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
 - 5.2.4 შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.
 - 5.2.5 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკურ დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე. ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
 - 5.2.6 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ, შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ტექნიკური დავალება მომსახურების გაწევის თაობაზე გაცემულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლოს და ამის გამო, მიმწოდებელი ვერ ასრულებს აღნიშნული დავალების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, იგი შემსყიდველთან შეთანხმებით, გააგრძელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, აღნიშნული ტექნიკური დავალების საბოლოო დასრულებამდე, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს გაწეულ ხარჯებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო პირობების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი შეთანხმება მომსახურების გაწევის ახალი ვადების გათვალისწინებით.

6. ფორს-მაჟორი

- 6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენის/ების დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

7. პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, მათ შორის საგარანტიო პერიოდში, (საპროექტო მომსახურებისათვის განსაზღვრული ვადის დარღვევა, არასრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა, სუბკონტრაქტორის აყვანის პირობების დარღვევა და სხვა) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით ყოველი კონკრეტული ობიექტის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების ღირებულების 3% (სამი პროცენტი), მაგრამ არანაკლებ 1 000.00 (ათასი) ლარისა.

7.2 წინამდებარე მუხლის 7.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ერთი თვის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% (ხუთი პროცენტი), შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას 30 კალენდარული დღით. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

8.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს ამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით.

8.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.

8.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.7 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაო შესაბამისობაში იქნება ტექნიკურ დავალებასთან, სამუშაოს სპეციფიკაციებთან, ხელშეკრულების პირობებთან, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციასთან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

- 9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით.
- 9.4 მხარეთა შეთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.
- 9.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადადმე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:
 - 9.5.1 მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
 - 9.5.2 მიმწოდებლის ბრალეულობით, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტის ან ხარვეზის არსებობამ გამოიწვია საგზაო სამუშაოების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდა (დადგენილი შემსყიდველის შესაბამისი სამსახურის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.
 - 9.5.3 მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
 - 9.5.4 მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;
 - 9.5.5 მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
 - 9.5.6 ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.
 - 9.5.7 მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;
 - 9.5.8 ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1.2 პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განმეორებით დაირღვა მიმწოდებლის მიერ;
 - 9.5.9 ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

10. სამართალმემკვიდრეობა და უფლებამონაცვლეობა

- 10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა, როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისათვის.
- 10.2 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 10.3 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11. ქვეკონტრაქტორები

- 11.1 მომსახურების გაწევის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.
- 11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;
- 11.3 ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.
- 11.4 მიმწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორი ვალდებული არიან დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენებული იყო მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემებში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.
- 11.5 მიმწოდებელს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს დამატებით აიყვანოს სპეციალისტ(ებ)ი, მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებში წარმოდგენილი მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტის სიობრივი რაოდენობის ზევით.

12. შეტყობინება

- 12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
- 12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 13.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების და მისი დანართების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება და კონტროლი (მონიტორინგი) ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის -

საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი – ამავე დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამმართველოს.

- 13.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.
- 13.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 13.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

14. სხვა პირობები

- 14.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 14.2 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.
- 14.3 იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
- 14.4 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 14.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 14.6 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული და შემსყიდველთან შეთანხმებული გასაწევი მომსახურების ფასები წარმოადგენს ხელშეკრულების ძირითად პარამეტრებს მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.
- 14.7 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
- 14.8 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 14.9 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 14.10 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ტექნიკური პირობები, გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი, სპეციფიკაციები) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს _____ წლის _____ ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე (საგარანტიო პერიოდის სრულ დასრულებამდე).

16. მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ანგარიშის #200122900.

ხელმოწერა
ბ.ა.

მაია ქალიაშვილი

მიმწოდებელი:

ხელმოწერა
ბ.ა.

პრეტენდენტის შეთავაზება

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	კომპანიის რეგისტრაციის (დაარსების) თარიღი:	
3.	მოკლე ინფორმაცია კომპანიის შესახებ:	

ვადასტურებ, რომ გავეცანი წინააღმდეგარე სატენდერო დოკუმენტაციას (ტექნიკური პირობები, ტექნიკური დავალება და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი) და ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, თანახმა ვარ შევასრულოთ აღებული ვალდებულებები სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული პირობების შესაბამისად.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა

ბ.ა.

ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის 01.01.2011-დან 01.06.2016-მდე პერიოდში არსებული ანალოგიური ტიპის საპროექტო გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება: _____

N	სახიდე გადასასვლელის დასახელება, ადგილმდებარეობა, ტიპი და სიგრძე	პროექტის დასახელება (რომლის გაფრგლებშიც დაპროექტდა აღნიშნული ხიდი)	დამკვეთის დასახელება	დამკვეთის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	შესრულების პერიოდი	პროექტის მოკლე აღწერა	შენიშვნა
1							
2							
3							
.							
.							
.							
n							

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა

_____ ბ.ა.

ინფორმაცია ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება: _____

N	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	პროექტის ფარგლებში დაკავებული პოზიცია	პროფესიული გამოცდილება (წელი)	დამატებითი ინფორმაცია
1					
2					
3					
...					
n					

შენიშვნა: მითითებული უნდა იქნას, წარმოდგენილი პერსონალიდან რომელი შესარულებს საპროექტო გუნდის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____
 ბ.ა.

საინფორმაციო ანკეტა

1. პირადი მონაცემები	
სპეციალისტის სახელი და გვარი	
პირადი N:	
საკონაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი და ელ. ფოსტა):	
პროექტში დასაკავებელი თანამდებობა:	
დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):	
მოქალაქეობა:	
2. განათლება	
უმაღლესი განათლება (უმაღლესი სასწავლებელი, სწავლის დაწყებისა და დამთავრების წლები, ფაკულტეტი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით)	
მიღებული სერტიფიკატები (დასახელება, თარიღი)	
ტრენინგები (დასახელება, დაწყებისა და დამთავრების წლები)	
სამეცნიერო ნაშრომები (დასახელება, გამოცემის წელი)	
სხვა (გაერთიანებების, ასოციაციების, და ანალოგიურის წევრობა)	
3. პროფესიული გამოცდილება	
მუშაობის პერიოდი (თვე/წელი):	1
ორგანიზაციის ან კომპანიის დასახელება:	2
საკონაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი და ელ. ფოსტა):	3 და ა.შ.
დაკავებული თანამდებობა:	
ძირითადი ფუნქციები:	

შენიშვნა:

- პრეტენდენტის მიერ, წინამდებარე დანართის მე-3 ნაწილში წარმოდგენილი დეტალური მონაცემები სპეციალისტების პროფესიული გამოცდილების შესახებ, ჯამში უნდა შეესაბამებოდეს დანართი N3-ის შესაბამის სვეტში წარმოდგენილ მონაცემებს (პროფესიული გამოცდილება).
- საინფორმაციო ანკეტით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრებათ პრეტენდენტსა და პირს (სპეციალისტი), რომლის შესახებაც არის წარმოდგენილი ინფორმაცია. შემსყიდველი უფლებამოსილია გადაამოწმოს მასში მოცემული ინფორმაციის სისწორე. საინფორმაციო ანკეტით წარმოდგენილი ინფორმაციის უზუსტობის შემთხვევაში, შემსყიდველი მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ამასთან, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს პიროვნების თანხმობის გარეშე ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში და მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

სპეციალისტის ხელმოწერა _____

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

ბ.ა.

წინარე შეთანხმება

(პროექტი)

ერთხის მხრივ, ტენდერში მონაწილე პირი: -----
კომპანიის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი

(შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი: -----
წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

იღებს ვალდებულებას და მეორეს მხრივ, სატენდერო პირობების შესაბამისად, კომპანიის მიერ სპეციალისტად წარმოდგენილი პირი: -----
სპეციალისტის სახელი და გვარი/პირადი ნომერი, სპეციალობა

(შემდგომში „სპეციალისტი“) თანხმდება, რომ ტენდერში -----
ტენდერის სახელი და უნიკალური ნომერი

„კომპანიის“ გამარჯვების შემთხვევაში, „სპეციალისტად“ წარმოდგენილი პირი იქნება დასაქმებული კომპანიაში და კომპეტენციის ფარგლებში, პირადად განახორციელებს ტენდერით გათავალისწინებულ მომსახურებას. (დადასტურება უნდა განხორციელდეს საპროექტო დოკუმენტაციის შტამში შესაბამისი ინფორმაციის დატანითა და ხელმოწერით).

სპეციალისტის ხელმოწერა

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა

ბ.ა.

ფასების ცხრილი

N	ობიექტის დასახელება	სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება ყველა ხარჯისა და გადასახადების გათვალისწინებით (ლარი)			
		ერთეული ღირებულება	გაუთვალისწინებელი ხარჯები (არანაკლებ 3%)	დღგ (18%)	ჯამი
1	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-102) ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის ს/გზის კმ8-რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაციხე-კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველების გაწევა				
2	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-85) მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ36+700-ზე მდ. ოჩხომურზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველების გაწევა				
3	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-85) მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ25+650-ზე მდ. ოჩხომურზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველების გაწევა				
4	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-152) ზაჭესი-ჯვარის მონასტერის საავტომობილო გზის კმ1-ზე მდ. მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველების გაწევა				
5	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-39) უფლისციხის კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის მე-7 კმ-ზე მდ. მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველების გაწევა				
სულ ჯამი:					

პრეტენდენტის ხელმოწერა:

ბ.ა.

ინფორმაცია დამატებითი მომსახურების შესახებ

(საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოები, რომლებიც არ შედის ძირითად საპროექტო მომსახურებაში)
„ხიდების მშენებლობა“

დამატებითი მომსახურების დასახელება	განზომილება	ერთეული	რაოდენობა
საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების დამატებითი ეგზემპლარების გამრავლება			
ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
დამატებითი ეგზემპლარების ტომებად, წიგნებად აკინძვა	1 წიგნი	ლარი	
პროექტის კორექტირება	სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
თარგმანი ქართულიდან ინგლისურად და პირიქით	გვერდი	ლარი	
სამშენებლო მონაკვეთის განთავსების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, არა უმეტეს საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. №242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით განსაზღვრულისა	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	

შენიშვნა:

შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შერჩევა-შეფასების ეტაპზე განიხილოს წინამდებარე ცხრილით წარმოდგენილი ფასების ადეკვატურობა. პრეტენდენტის მხრიდან აღნიშნულის შესახებ შეუთანხმებლობა განხილული იქნება როგორც წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შეუსაბამობა სატენდერო პირობებთან, რაც გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის საფუძველზე.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა

ბ.ა.

ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში გამოყენებული ქვეკონტრაქტორების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება: _____

N	ქვეკონტრაქტორის დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	ქვეკონტრაქტორის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების წილი %-ში
1					
2					
3					
.					
.					
.					
n					
ჯამი					

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____
ბ.ა.

ქვეკონტრაქტორი კომპანიის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____
ბ.ა.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(უპირობო საბანკო გარანტია)

ვის:

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ _____ (შემდგომში - „მიმწოდებელი“)

(მიმწოდებლის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

(ტენდერის დასახელება)

ტენდერში წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია.

ამასთან, დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (**არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა**), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი _____

(თარიღი)

(მისამართი)